# ანალიტიკური ესე

ადამიანის განათლება მხოლოდ ცოდნის მიღება არ არის ეს საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა, შრომა და თავმდაბლობა. სწორედ ამ აზრს გვიზიარებენ დანიელ პენაკი, სტივ ჯობსი და ივანე ჯავახიშვილი განსხვავებული დროისა და სფეროს წარმომადგენლები, მაგრამ სულიერებით გაერთიანებულნი. დანიელ პენაკის ,,სკოლის სევდაში'' მთავარია ბავშვის შინაგანი ტკივილი, რომელსაც სწავლა უჭირს. მისი გზა გვასწავლის, რომ მოსწავლეს სჭირდება არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ ადამიანი, ვინც დაინახავს მის შიშებს და რწმენას ჩაუდგამს გულში. სწორედ ეს რწმენა გარდაქმნის სევდას ძალას და შრომას.

სტივ ჯობსის გამოსვლაში კი წარმატება განისაზღვრება სიყვარულით შრომისადმი. ის გვახსენებს, რომ ცხოვრების სირთულეები შემთხვევით არ მოდის ისინი გვაყალიბებს და გვასწავლიან, რომ არ უნდა დავთმოთ ოცნება. ჯობსის სიტყვებით, უნდა ვენდოთ ჩვენს გზას და ბოლომდე ვიმუშაოთ მის ასასრულებლად. ამავე აზრს აძლიერებს ივანე ჯავახიშვილის სიტყვები და მაგალითი. იგი თავად იყო თავმდაბალი და თავდადებული მოღვაწე, რომელსაც უნდოდა, რომ უნივერსიტეტი ყოფილიყო შრომისა და ღირსების ადგილი. მისი დამოკიდებულება გვასწავლის, რომ ადამიანი უნდა იყოს ,,თავმდაბალი მშრომელი, როგორც ჭიანჭველა'' ვინც ჩუმად, მტკიცედ და შეუპოვრად ქმნის დიდ საქმეებს. ამ სამ მაგალითში იკვეთება ერთიანი ჭეშმარიტება სწავლისა და ცხოვრების მოდის შრომით, რწმენით და

თავმდაბლობით. ცოდნა მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა მას ემატება გულწრფელი შრომა და ადამიანობა.

ადამიანმა უნდა ისწავლოს არა მხოლოდ წიგნიდან, არამედ საკუთარი მცდელობისგანაც. როგორც პენაკის მოსწავლე სწავლობს სევდიდან, ჯობსი მარცხიდან, და ჯავახიშვილი შრომიდან, ჩვენ უნდა გვახსოვდეს: ნამდვილი სიბრძნე მოდის იქიდან, სადაც თავმდაბლობა და შრომა ერთიანდება. ადამიანი, რომელიც მშრომელია როგორც ჭიანჭველა და თავმდაბალი როგორც ივანე ჯავახიშვილი, აუცილებლად მიაღწევს ნამდვილ წარმატებას.

ნინი ცხოვრებაშვილი